ISSN 0132-6015

ნიაღვარი

22

ნოემბერი
1988

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუცელგანთქმულ კურისმჭამელ
გურმან ელარჯიას,
ფეხები რომ ვაკეში აქვს,
ღიპი ვერაზე აქვს!..

ნახ. ზ. ფოლრჩხიძისა

ყურადსაღები კრიტიკის შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელეტონი

ის დღე სამახსოვროდ დარჩათ **რესპუბლიკის აგრომრეწვის მუშაკებს,** როცა 21 **ივნისს საინფორმაციო პროგრამა „ვრემიამ“** მათი ყურადღება მიიპყრო **საკავშირო ფონდში ხილ-ბოსტნეულის პროდუქციის გადატვირთვის საქმეში არსებულ უხეშ დარღვევებზე, კერძოდ, საკითხი უხარისხო საადრეო კომბოსტოს გაგზავნას ეხებოდა.**

კრიტიკა რის კრიტიკა იქნებოდა, თუ მას ავტორიტეტული კომისიის გამოყოფა და საკითხის საფუძვლიანი შემოწმება არ მოჰყვებოდა. სურათი საკმაოდ მუქი აღმოჩნდა: ზოგი მეურნეობა არ ახდენს პროდუქციის გადარჩევას, დახარისხებას და თანმხლები საბუთების სათანადო გაფორმებას!..

პროდუქციაში სტანდარტული ნაწილის შემცველობა ფიქტიურად იყო აღნიშნული. პროდუქციის ნაწილი მოთავსებული იყო ტრანსპორტირებისათვის უვარგის ყუთებში, რაც კიდევ უფრო აუარესებდა პროდუქციის ხარისხს. მოსკოვში გადატვირთული და შემოწმებული 1758 ტონა საადრეო კომბოსტოდან სტანდარტული აღმოჩნდა 80,2 პროცენტი, როცა ეს მაჩვენებელი 90-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო! ამის გამო გეგმის შესრულებიდან მოიხსნა 350 ტონა არასტანდარტული საადრეო ბოსტნეული.



უწინარეს ყოვლისა საყვედური ეთქმით **გარდაბნის რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს,** რომელთაგან გადატვირთული 2.700 ტონა საადრეო კომბოსტოდან უხარისხობის გამო გეგმიდან მოიხსნა 110 ტონაზე მეტი და უკან დაუბრუნდათ გადასარჩევად. სახელი გაიტეხა **გარდაბნის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. ჰასანოვი).** მათ ამ ზაფხულს იზოთერმულ ვაგონებში ჩატვირთეს 33 ტონა საადრეო კომბოსტო. სახელმწიფო ინსპექტორმა წინადადება მისცა პროდუქცია ვაგონებიდან გამოეტანათ და გადაერჩიათ, მაგრამ მისი რჩევა არავინ ისმინა!..

ურჩობას შედეგად ის მოჰყვა, რომ მოსკოვში გაგზავნილი კომბოსტოს სტანდარტულმა ნაწილმა 64 პროცენტამდე შეადგინა, ხოლო როსტოვში გაგზავნილმა — 81 პროცენტი. თუ სათქმელს ბოლომდე ვიტყვით, აღნიშნული მეურნეობა სხვა ცოდვასაც სჩადის: არ საზღვრავს პროდუქციაში ნიტრატების ოდენობას და არ იძლევა სერთიფიკატს პროდუქციაზე.

იქნებ მათზე არც კი გაგვემახვილებინა ყურადღება, რომ მსგავსი დარღვევები არ დაეშვათ **ამავე რაიონის რუისბოლოსა** და **კაპანახჩის საბჭოთა მეურნეობებს. რუისბოლელებმა (დირექტორი შ. ლიპარტელიანი)** მოსკოვსა და როსტოვში გადატვირთეს 300 ტონამდე საადრეო კომბოსტო, რომლის სტანდარტული ნაწილი 72 პროცენტამდე იყო, ხოლო **კაპანახჩელთა (დირექტორი ვ. გამბაროვი)** გაგზავნილ პროდუქციაში — 76 პროცენტამდე. ამ უკანასკნელმა მეურნეობამ იმითაც „ისახელა თავი“, რომ მისი გაგზავნილი პროდუქციის თითქმის ნახევარი თავებდახეთქილი, გაღივებული და საკვებად უვარგისი იყო!..

იტყვიან, ცუდი მაგალითი გადამდებიაო. ეს სენი გადაედოთ **სამგორელებს, ჯანდარელებსა** და **ახტაკალელებს,** აგრეთვე **სამტრედიის, თერჯოლისა** და **მარნეულის რაიონების დამამზადებლებს.** არც **მარნეულის რაიონის თაქალოს საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი მ. მამედოვი)** მიიღო სახელმწიფო ინსპექტორის რჩევა, არც **მეგობრობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. კოჯაევი),** რომელთაც 12 ვაგონი საადრეო კომბოსტო სუსტად შეჭედილი ყუთებითა და ეტიკეტების გარეშე გაგზავნეს. ანალოგიური დარღვევები დაუშვეს **საბირკენდის** და **26 კომისრის სახელობის მეურნეობებმაც.**

ყურადსაღები კრიტიკის შემდეგაც პროდუქცია იგზავნება არატრანსპორტაბელური ყუთებით, რაც იწვევს პროდუქციის ხარისხის გაუარესებას. ამას ემატება ისიც, რომ ზოგჯერ არ მუშაობენ ავტორეფრიჟერატორებისა და იზოთერმული ვაგონების გამაცივებელი დანადგარები, ხოლო გადატვირთვის ადგილებში არავინ ამოწმებს მათ მზადყოფნას!..

ზემონათქვამიდან რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? მხოლოდ ერთის — **ხილბოსტნეულის პროდუქციისა და კარტოფილის წარმოება-გადამუშავების მთავარი სამმართველო, საქსოფლდამზადების რესპუბლიკური გაერთიანება და სახელმწიფო ინსპექცია,** რომელსაც ევალება დამზადებული პროდუქციის ხარისხის, სტანდარტის, მეტროლოგიისა და სანიტარული კონტროლის საკითხები, არასაკმარის ღონისძიებებს ახორციელებენ საკავშირო ფონდში უზადო პროდუქციის გასაგზავნად, რისთვისაც რესპუბლიკა დიდ ზარალს ნახულობს!..

ახლა თესლოვანი ხილის საკავშირო ფონდში გაგზავნის დროა და იქნებ კვლავაც არ შევირცხვინოთ თავი!

ყურადსაღებ კრიტიკას ყურადღების გარეშე ნუ დავტოვებთ!

ჟ. გოგილაური

ნახ. მ. აბაშიძისა



უსიტყვოდ

პროტოტიპები

თათქარიძის პროტოტიპი დღეს ერთბაშად
გაგვიმრავლდა, —
ცხვირზე ღიპი მიბჯენიათ, — ზოგი ისე დაგვიმრგვალდა!..
იმ ლუარსაბ თათქარიძეს (ძირგავარდნილ ჭურს რომ
ჰგავდა),
ერთი ცხენი ჯაგლაგი და ცხრა უღელი ხარი ჰყავდა!..
დღევანდელი ლუარსაბი — მქონე ფულის, ჭარბი
ქონის —
თათქარიძეს, ერთს კი არა, ბარე ათსაც აიწონის!..
სამ ადგილზე სახლ-კარი აქვს, ორ ადგილზე — აგარაკი!..
„ვოლგას“ ზურგი შეაქცია, ჰყავს „ფორდი“ და
„ქადილაკი“!..

. . .

ქონება და ქონი ახრჩობთ, გასახდომად სვამენ აბებს!..
დროზე უნდა ვუმკურნალოთ მუქთახორა ლუარსაბებს!

ნიკოლოზ იოსებიძე

ნიანგის სალიტერატურო მიროსცვლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელდარ შენგელაიას

სმა თუმცა აკრძალულია,
ამ თასს ბოლომდე გამოვცლი:
ჩვენს საამაყო ელდარსაც
ჩამოუმარცვლავს სამოცი!

სცენარისტებად ლომები —
რეზო-„ა“ გყავს და რეზო-„ბე“,
ქართული კინოს დიდებავ
და კინოენის ეზოპევ!

ვინც ერს და ენას ივიწყებს,
ერის და ენის ქომაგო,
ვალდებულია სუყველა,
პასუხი შენთან რომ აგოს!

თვითონაც მთა ხარ ცისფერი —
ერთი მაღალი მწვერვალი!
კვლავ შედევრები გვჭირდება,
კვლავ ბევრი დაგრჩა ჯერ ვალი!

ის ურჩევნია მამასა,
ის ურჩევნია დედასა, —
რაც კია ჯილდო ამქვეყნად,
სულ — გიორგის და ელდარსა!

გვიცოცხლოს იუბილარი —
შენგელაია ელდარი!
ღმერთმა ქნას, ჩვენმა ქვეყანამ
ბევრი გაზარდოს შენდარი!

რობერტ სტურუას

ოქრო როა ბაჯაღლო
ან ამეთვისტო როა,
განძი როა ძვირფასი —
ე, ის არის სტურუა!

ვითომ ორმოცდაათი
ბევრი არის? არც ისე!

მით უმეტეს, როცა გაქვს
„ყვარყვარე“ და „ცარცის ნრე!“

როგორც უფლის რჩეულს და
მეფეთ მეფეს შეჰფერის,
სულ ზემოდან დასცქერის
მეფე რიჩარდს, მეფე ლირს!..

ჩვენს სახელს და დიდებას —
გაუმარჯოს რობიკოს!
გაუმარჯოს მის სპექტაკლს —
მცხუნვარებას ტროპიკულს!

რაკი მთელი მსოფლიო
მოიარა ამ დასით,
ამ დასსა და რობიკოს
ვადღეგრძელებ ამ თასით!

ოქვენი თაყვანისმცემელი
„ნიანგი“

სოსო მაჭარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასწავლებელი

(პაროდია)

სკოლაში 10 წელიწადს ვმუშაობდი საჩხერის რაიონში 70-იან წლებში. ეს ფელეტონი, თუ პაროდიაც მაშინ დაინერა, მაგრამ იგი რაიგაზეთში და სკოლის კედლის გაზეთშიც კი არ გამოაქვეყნეს. მასში აღნიშნული სენი კი ახლაც საკმაოდ აწუხებს სკოლას, მასწავლებელს!..

ავტორი

მასწავლებელი — გამგრძელებელი
გოგებაშვილის საქმის, სახელის,
მასწავლებელი — ზოგჯერ უშვილო,
მაინც ათასი სიმწრის მნახველი!..

მასწავლებელო — მაკულატურა!
მასწავლებელო — ჯართი!
დავალებები, დავალებები —
ნაღმართიც, უკუღმართიც!..

მასწავლებელო — სენაჟი!
მასწავლებელო — ჩალა!
თივაც, სილოსის ჩადებაც
ჩქარა, ჩქარა და ჩქარა!

მრავალძარღვას ხომ აგროვებ?
ატმის კურკასაც უძელი, —
არ ჩაუვარდეს რაიონს
გეგმა ხილის და ყურძენის!

ბოთლებიც ბლომად აგროვე,
ქილაც როდია ურიგო!
ტაშის საკრავად წაასხი
გია, ლამარა, ზურიკო!..

გაკვეთილები? მოიხსნას!
(მისი მომხსნელიც კრულ იყოს!),
ანწლის, ასკილის გეგმებში
ობლად რომ ამოსულიყო!

კინო-კონცერტის ბილეთთან
(კიდევ რა დარჩა სხვა მეტი?)
მოსწავლეებში ასალე
ფეხბურთის აბონემენტიც!..

მასწავლებელი — პროცენტის ყულფზე
ძლივს ჩამოხსნილი მსხვერპლი!
მასწავლებელი — მჭლე სამიანზე
მიმობნეული ფერფლი!..
— მასწავლებელო, სადამდე?
— ვაიმე, დედავ, ყელამდე!..

პენალტი

ნოველა

— რაც მე ცხოვრებამ მაბურთავა, დავმრგვალდებოდი, აბა, რა იქნებოდა! — ასე ამბობდა ხოლმე პ. თავის თავზე, ახლა რომ ტრიბუნაზე იჯდა და თამაშის დაწყების მოლოდინში ამთქნარებდა. სიმართლე რომ ითქვას, ფეხბურთის გულშემატკივარი არასდროს ყოფილა და ლამაზი გოლის სანახავად არც ახლა იყო მოსული. ევროპის პირველობაზე გამართული თამაში შემთხვევით ენახა ტელევიზიით და მსაჯის სიმკაცრე მოსწონებოდა. მერე ჩვენი მსაჯობითაც დაინტერესებულიყო.

ფეხბურთის ხალხმა როგორ უნდა გვაჯობოს წესრიგის დაცვაში?

თამაში დაიწყო. პ. ამთქნარებდა. მას მხოლოდ მსაჯის რეაგირება აინტერესებდა მწვავე მომენტში. ის კი არ ჩანდა. თითქოს ბურთიც ამთქნარებდა მწვანე მინდორზე.

— ამას სამსახურშიც ძლივს ვუძლებ! — გაიფიქრა პ-მ, — ხომ არ წავიდე? ასე თამაშიც უნესობაა და ერთი კაცი დაამყარებს აქ წესრიგს?

რომ წამოდგა, საპენალტე დარღვევა მოხდა. მსაჯი ისარივით დაერჭო თერთმეტმეტრიანთან და ყურადღებაც არ მიუქცევია პროტესტებისთვის!

— ბიჭოს! — დაჯდა პ. და ხელით მოიგერია პაპიროსის კვამლი. გამხდარმა, იმ კვამლზე გადასაკიდმა მეზობელმა რომ მიაფუტა. — ხუმრობაც არაა, მასპინძლები დაგვაჯარიმა! გენაცვალე სასტვენში!.. — უკანასკნელი სიტყვები ჩურჩულით თქვა და მაინც ფრთხილად მიიხედ-მოიხედა, ხომ არ გაიგონესო.

ანგარიში გაიხსნა და თამაშსაც სული ჩაედგა. მსაჯები მცირეოდენ დარღვევებსაც არ ტოვებდნენ რეაგირების გარეშე. ერთ-ერთ მომენტში, როცა ფეხბურთელებმა კედელი აღმართეს და მანძილი არ დაიცვეს 2-3 შენიშვნის მიუხედავად, მსაჯმა ყვითელი ბარათი უჩვენა აქტიურ დამრღვევს.

— გენაცვალე მარჯვენში! — კინაღამ ხმამაღლა წამოსცდა პ-ს და ისევ უსიტყვოდ დაამატა, — მადლობელი ვარ, ძმაო, მადლობელი!..

მეორე ტაიმში თამაშს ცეცხლი წაეკიდა... იგი ტრიბუნებსაც მოედო!.. ათასებს დაჰკრა ურჟოლამ, გულებში გაიარა და ნერვების „მავთულებში“ წავიდა დენივით!..

ერთ-ერთ მომენტში საჯარიმოზე მოცელეს მეტოქე. მთავარმა მსაჯმა გვერდითს შეხედა, მან კი მხრები აიჩეჩა. ტრიბუნებზე გრიგალმა იფეთქა, რადგან კვლავ მასპინძლებს აჯარიმებდნენ!..

— საინტერესოზე მეტია, რას იზამს მთავარი? — გაფაციცებით მიშტერებოდა პ. მსაჯს. — მარტო ხარ და ცოდო ხარ, ბიჭო, ამდენი დოლრიალას წინაშე! აქ არც ტელევიზიაა და არც არაფერი! ანკეტებს ხომ ვერ დაარიგებ ტრიბუნაზე საზოგადოებრივი აზრის გასაგებად? ვერც მომხრეთა ჩურჩულს ჩააკერებ ოქმში!..

მთავარმა თერთმეტმეტრიანთან გაიდგა ფესვები!..

— გენაცვალე სინდისშიც, გამბედაობაშიც და ყველაფერში! — აღტაცებული იყო პ. თამაშის ბოლოს. — წესების მტკიცე დაცვის გარეშე მართლა თამაშია ყველაფერი! პენალტი გვჭირდა ჩვენ ყველას, პენალტი! დიდი მადლობა მაგალითისათვის და ჩათვალე, რომ ერთი გულშემატკივარი მაინც შემატე დღეს ფეხბურთს! ანი თამაშს როგორ გავაცდენ! ის მაჩვენა, დამნაშავე რომ იქვე დაისჯება და სტადიონზე კი არა, ჯოჯოხეთში წავალ!..



უსიტყვოდ

დავით სალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფიქრალი ლექსები

რა იქნება?!.

მახვილივით ვბღუჯავ კალამს,
მდის სიამის ცრემლი!..
ჭირნახული დამიხვავდა,
გამიმრავლდა მრევლი!..
ვალს ოქროთი ვუხდი ყველას,
თან ვაჟღერებ სიმებს!..
ჩემისთანა ბედნიერი
კიდევ თუა ვინმე?
ისევ შენ ერთს გაღმერთებ და
შენვე გიკრავ მკერდში,
ცისკარივით მემატება
ლაზათი და ეშხი!
რასაც ვეძებ, ვპოულობ და
ზეცას ვწვდები მხრებით,
წლები როდი მემატება,
კვლავ ჭაბუკი ვხდები!..
წუთისოფლის ბოსტანს ვუვლი,
მის ზვრებსა და ბაღებს,
ნასოფლარებს, ნასახლარებს
ახლა კვლავ ვალაღებ!..
და ილიმის ცა და მიწა —
სასნაულის მომსწრე!
სიყვარული — გზად და ხიდად!
სიძულვილი მოვსპე!
აღტაცებას, აღმაფრენას
გული ვეღარ ფარავს!..
მწყემსი უკრავს სალამურს და
მგელი იცავს ფარას!..
რასაც ფეხი აქ დავადგი,
გადაიქცა ბაღად!..
ქვეყანაზე მხიარული
ფავაბიჯებ ლაღად!..
ისევ ბღუჯავს ხელი კალამს
და სტრიქონებს ვმართავ!..
რა იქნება, ეს ოცნება
რომ ამიხდეს მართლაც?!

ხომ არ გეცნობათ?

ხელს ჩამოგართმევს ღიმილით,
პირში გაქებს და „გაფასებს"!..
ფრთხილად, რამე არ
წამოგცდეს,
თორემ წავა და დაგასმენს!

პირში რომ გეჭიკჭიკება,
ზურგს უკან გითხრის სამარეს.
ალბათ ვიღაცას სჭირდება,
ალბათ ხელს ვიღაც აფარებს.
შიგნით მგელია ნამდვილი,
გარეთ ცხვრის ქურქი აცვია.
ბევრი კაი ყმა გაწირა,
ცოტნე ვარლამად აქცია!..

სუყველას ეჭვით შეჰყურებს,
აბა, ხელობა სხვა რა აქვს?
ჯერაც ჭრის მისი ნათქვამი,
შხამს ანთხევს, მაგრამ შარბათს
სვამს!

ორეულივით თან დაგსდევს,
იქ გხვდება, სადაც არ ელი!
ღმერთმა ორივე დაწყევლოს —
ისიც და მისი მფარველიც!

რა სასმელს მირჩევთ, რას მეტყვით?

ღვინის სმა აკრძალულია,
ჩაი — რამდენიც გენებოთ!
მაგრამ ის უხარისხოა
და როგორ უნდა შეგვერგოს?

უალკოჰოლო სასმელებს
ჯერ არ ეტყობათ გარდაქმნა!
მაგრამ სასმელებს მე არ ვსვამ
და აღარ ვიცი, რაღა ვქნა!

ლუდი ნახევრად წყალია,
არც ნაკლები და არც მეტი!
მაშ, რა ჯანდაბა დავლიო,
რა სასმელს მირჩევთ, რას
მეტყვით?

იქნებ დრო?

რა კაცია, ფლეებს ხვალის
ეინც არ უყრის ბალავერს?!.
კი, ყოჩაღად ირჯებიან,
ხნავენ, თესენ, ბარავენ!..

კი, უვლიან მინდობილ ზვრებს
და მიხომილ ნაკვეთებს,
როგორც ერთი, ისე ყველა
თავის საქმეს აკეთებს.

ტყე ულმერთოდ იჩეხება,
თევზი ქრება მდინარის,
ყველა თავის ქურქში ძვრება,
თავისი გზით იჩქარის!

სად წაუხვალ კაცი სირცხვილს,
სადაური წესია?
მტაცებელზე არას ვიტყვი,
მგალობელსაც ესვრიან!

არვინ იცის, ვინ რას შვრება,
ვინ ვის უკრავს დაფდაფებს,
ნარ-ეკალი მორევია
წინაპართა საფლავებს.

ბებრის ყანას არვინ თოხნის,
კაცს გაგიძლებს რა გული?!
დასტურ ყველა საკუთარი
საქმით არის გართული!

ვინ გვიმუხთლა, ვინ
დაგვწყევლა,
რა ღმერთმა და სატანამ?
ვაი, როგორ დავივიწყეთ
ერთმანეთის გატანა!

იქნებ დროა, ვკითხოთ ჩვენს
თავს:
რას ვაკეთებთ? რას
ვშვრებით? —
ვიდრე მთლად არ
გადავგვარდით,
ვიდრე არ გადავშენდით!

ყალბი მშენებლის ფინალი

დრომ ცოდვასავით გინია
და გაგაშიშვლა ავსული!
დრომ გაპარპაშა აქამდე,
დრო გახდა შენი მსაჯულიც!

ბოლოს და ბოლოს აივსო
მოთმინებისა ფიალა.
„ჯერ მწარე ჭამე, კვლავ
ტკბილი"
უკულმა შეგიტრიალდა!

შენი „აღმასვლის" მხილველი
შენს დაცემასაც ვესწრები,
გიშენებია ქვეყანა
ყალბი ციფრებით, „ტემპებით"!..

ცა იწმინდება, დღითი დღე,
სიმართლეს ფარდა ეხდება!
შენი დღე უკვე დალამდა,
ჩემი დღე უკვე თენდება!



— იცი? მამაჩემმა ახლა ამოიდგა ენა!

ვმასპინძლობთ ჩვენს იუგოსლავიელ მეგობარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კლასი.
ავტოშარჟი

ბელგრადში ცხოვრობს ცნობილი იუგოსლავიელი მხატვარი-კარიკატურისტი **ალექსანდრე კლასი,** რომელიც მსოფლიოს მხატვართა დიდ ოჯახში პეშმარიტად მაღალი კლასის მხატვრადაა აღიარებული. მან თავისი შემოქმედების მანძილზე თითქმის ყველა ასპექტში გააშუქა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების შეჭრდილოვანი მხარეები. 1963 წლიდან **ალექსანდრე კლასს** ნამუშევრების ოცდაათამდე გამოფენა მოეწყო რომში, ბერლინში, სტამბოლში, ტოკიოში, პარიზში, ჰავანაში, მოსკოვსა და მსოფლიოს სხვა ქალაქებში. მისი ყველა გამოფენა ჯილდოთი და პრემიით აღინიშნა.

„თუ დავცინებთ, — წერდა **გოგოლი,** — მთელი ძალით უნდა დავცინოთ იმას, რაც პეშმარიტად დასაცინია!"

— **ალექსანდრე კლასის** სატირა და იუმორი მოურიდებლად დასცინის ყარიერიზმს, პროტექციონიზმს, მომხვეჭელობას, ბეუნჭიაობასა და ცხოვრების სხვა ნეგატიურ მოვლენებს. იგი ყოველთვის აქტუალური და მასშტაბური, მხატვრისათვის არ არსებობს წვრილმანი თემა.

— კი მაგრამ, ეს ლოზუნგი ხურდის დაბრუნებას არ ეხება?!

— ინტელიგენტს ჰგავხართ და ასე ნუ დახურდავდებით!..

ჩემი ქუჩის გასაჭირი

გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარის“ მოტივზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ გაიგებთ ვინმეს ჩივილს ან შუქთა მკრთალ ტირილს
ეს ქუჩაა, ჩემი ქუჩა, ქუჩა კალინინის!..
დღესაც ხელთ მაქვს (რადგან ისევ ამოვარდა ქარი)
მდუმარებით შემოსილი დაბნელების ქნარი.
ვერ იქნა და ეს ტკივილი ვერვინ მოაშუშა,
აღარც ნავთი, აღარც ლამპა, აღარც ლამპის შუშა!..
ვინ რა იცის, თუ როგორ ვგრძნობ დაჩქარებას უცვლელს,
ვერ ვუყურებ ტელევიზორს, ვერც რადიოს ვუსმენ!..
აქ სინათლე რომ ჩაქრება, კვდება არემარე,
ველარ შველის ველარც მზე და ვერც მთაწმინდის მთვარე!
მეფინება ვარსკვლავთ კრთომა ციდან მხიარული,
მანქანების გარდა ყველას გვიჭირს სიარული!..
მთვარე თითქოს ზამბახია, მიმკრთალ შუქთა მფენი,
ასჯერ ვანყობ საათს, რადგან ასჯერ წყდება დენი!..
ხან ისეთი მძლავრი ძაბვით მოვარდება დილით,
ქსელში რაც მაქვს, დააძინებს მყისვე მეფურ ძილით.
ამ სტრიქონებს ახლაც ბნელში ვნერ და მტანჯავს სევდა,
ეს — მე მესმის ბნელმა სულში როგორ ჩაიხედა!..
აი, ახლაც ღამის მნუხრი ისადგურებს ნელა,
ყველა ქუჩა კაშკაშდება, ჩემს ქუჩაში ბნელა!..
თვალნათლივ ვგრძნობ, რომ სულისთვის, კვლავ თუ
არ მოგვარდა,
სიკვდილის გზა არსად არის, ამ ბნელი გზის გარდა!..
დღეს ამ გზაზე ზღაპარია შუქთა სითამამე,
დღეს სინათლეს მთელ თბილისში აქ ამარცხებს ღამე!
ხაზებია დანყვეტილი, ბოძებია ძველი!..
ჯერ არასდროს არ ყოფილა ქუჩა ასე ბნელი!..

რევაზ ოსეფაიშვილი

აბონემენტის საღლეგრძელო

იუმორესკა

ალმასრულებელი იორდანე უბნის რწმუნებულთან ერთად გამოცხადდა თანდილასთან. ალიონი ჩაღვენთილიყო. მზეს პირი დაებანა. იცოდა უბნის რწმუნებულმაც და ალმასრულებელმაც, რომ, თუ დილაუთენია არ დაადგებოდნენ თავს თანდილას, მერე ველარ მოიხელთებდნენ — ან სათიბში იქნებოდა, ან სარწყაოში. თანდილა ცელს კვერავდა. ხაოიანი ცერა თითით უსინჯავდა ფხას ცელს და გულში ბრაზობდა — რკინაც აღარა რკინობდა, კბილები მოსცვეთოდა!.. არც გაუგია სტუმრების მოსვლა, თავიც არ უწევია,

— სალამი ღვთისაა! —ჩაახველა იორდანემ.

არ გაუგონია ნათქვამი თანდილას.

— შენა, კაცო, ჩვენ რას გვებუტები, მესამედ მოვდიავართ!.. ქაღალდია მოსული ქალაქიდანაო!

— ახლა უბნის რწმუნებულმა დაიბობა ხმა და ჩაჩლატული ჩექმის ყელი ამოქაჩა მარჯვენა ფეხზე. ჩექმის ყელი გარმონივით ჩაკეცილიყო.

თანდილამ გეზად შეხედა მოსულებს.

— რა ქაღალდია მაგისთანა, მშიერის ბიჭო?!

უბნის რწმუნებულმა წარბები შეიკრა:

— რა შუაშია აქ მშიერი?

— ეგრე გეძახიან, თქვენს ჯალაბსა და მე რა ვიცი!..

— ჰო, ეგრე გვეძახიან, მაგრამ მშიერი რომ არა ვარ, ხომ იცი?

— განა მარტო მე ვიცი?! რა დაგიძახო? მაძღარაანთ ბიჭო-მეთქი?

— არც ერთი და არც მეორე! მე არველოდი მქვია! ქაღალდი კი მოვიდა!..

— რა წერია მაგ დასაწვავ ქაღალდში?

— კვირას ქალაქში იყავი? — კითხვა შეუბრუნა უბნის რწმუნებულმა.

— ვიყავი. ნაადრევი ატამი გავყიდე. სულ ორი კალათა მქონდა.

— მერე?

— რა მერე?!

— სხვა არაფერი?

— სხვა რა უნდა ყოფილიყო?

— მაშ, აქ ტყუილი წერია?

— ბიჭო, მაგ ქაღალდებისა თქვენ არა გჯერათ და მე დავიჯერო? დღეს რო ერთს იტყვით, ხვალ აღარ მოგწონთ თქვენივე ნათქვამი!.. აი, რას უძახით?.. საჯაროობაო!. საჯაროობაა თუ ზოგზოგების ლანძღვაა, ეგ მე არ ვიცი! ის კი ვიცი, რომა წინაპრის საფლავს გუთნით არ უნდა გადაუარო! ეგ არის თქვენი გუთნისდედობა?! ეგრე წახვალთ შორსა?

— რა დროს გუთანი და მეხრეა!.. ამაზე მიპასუხე: ქალაქში რომ იყავი, ბაზარში, საპირფარეშოში იყავი? დებოში ატეხე?

— სადა, კაცო, ფეხსადგილში?!..

— შენ ფეხსადგილი დაარქვი... კოოპერატივია!

— კაცო, მოშარდვას რათ უნდა კოოპერატივი? თანაც თითო მოშარდვა 20 კაპიკიო!.. წინასწარ ხომ არ მოშარდავ მთელი დღის მოსაშარდსა, ჰა?

— თანდილ, ნუ აურიე!.. ოცი კაპიკი აღარა გქონდა?

— მქონდა, მაშ, არა მქონდა? მაგრამ ხომ იცი შარდის ბუშტის ორი ოპერაცია მაქვს გადატანილი!.. წამდაუწუმ 20 კაპიკის გადახდა გაგონილა?

— შენც რაღა იმ კოოპერატივს მიადექი, სხვაგან ვერ მოძებნე ფეხსადგილი? რაღა იმ სარკეებიან კოოპერატივს მიადექი? მოგეწონა?

— კაცო, მოშარდვას სარკე რათ უნდა, არც ჩამიხედია, ბარემ გარმონიც დაუკრან!.. მა ოც კაპიკს რაში იღებენ? მაგისთვის მეცალა? ი კალათები სხვას მივაბარე...

— მაშინ სადმე გადასულიყავი მოფარებულში!

— სადა, კაცო?! ეგ ბაზარია და ეგ ერთი სარკეებიან-უთოებიანი ფეხსადგილი!.. სად წავსულიყავი?!

— სადა და... ლიახვის სანაპიროზე!

— ბარემ სოფელში ამოვიდოდი, მოვშარდავდი და მერე ბაზარს მივუბრუნდებოდი!

— მაშინ, შენი თავისა რომ იცი, ქოთანი წაგეღო!

— იორდანე, შენ ატარე ქოთანიცა და შიბაქიცა!.. სათიბში მიდივარ, ძლივს წამოვიდა ბალახი!.. რა გინდათ ამ დილაუთენია, საქმე არა გაქვთ?

— ჯარიმას გადაიხდი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვისა, ოც მანეთს!.. თანაც ჭაუას ისწავლი!

— რათა, იორდანე?! ორი მანეთი იქ გადავიხადე, კიდევ ოცი მანეთი?!. ჯარიმა იმათ უნდა გადაიხადონ!

— რათაო, თანდილა?

— ეგ არის კოოპერატივი? შევეხვეწე, ჯერ შემიშვით და მერე გადაგიხდით, ხომ ისევ აქეთ გამოვივლი-ხეთქი!.. არაო, ხალხი გვაკლდებაო, გეგმაც გვიჭირსო!.. სანამ ხურდა მომცეს, სანამ გამატარეს, გამიჭირდა ეგ ოხერი!.. კაცი მივდივარ ამ ქვეყნიდან და შარდის გეგმა აღარ გამიგონია!..

— ხომ არ გაგეპარა, თანდილა?

— არა, კაცო, ისე გავბრაზდი, რომა შარდიც გამიშრა!.. შევედი და გამიშრა!.. მაინც რა მითხრა ი კოოპერატივის კაცმა!.

—რა გითხრა ეგეთი?

— ჩვენაო შარდის ბუშტით დაავადებულებს ვმკურნალობთო!.. თუ მალ-მალე გეშარდება, წინასწარ გადაიხადე ფულიო! ქვითარსაც მოგცემთო, ბეჭდიანსაო, განა უბრალოსაო! მალე აქ ექიმიც გვეყოლებაო!.. საუბრებს ჩაგიტარებთო!.. მაშა, კაცო, ახლა ფეხსადგილებშიღა გვაკლია კრებები თუ საუბრები!

—თანდილა, ეგ შენი საქმე არ არის!. აგეღო ი ქვითრები წინდაწინა!..

— მერე და რომ არ მომშარდოდა?

— ეგეც არაფერია, თანდილა, კიდევ ხომ ჩახვალ ქალაქშია?

— მაშინა, იორდანე, აბონემენტი გაყიდონ ბარელმა!

— ეგ იმათთვის უნდა გეთქვა, თანდილა!

— ვუთხარი.

— ვბეჭდავთო, ყველა სოფელში გავყიდითო, ფასდაკლებითაო, შეღავათებითაო!..

— სამივეს სიცილი წასკდათ.

თანდილამ ცელი დადო, დედაკაცს გასძახა:

— ე, დედაკაცო, სტუმრები გვეწყინენ, ჭაჭის ორნახადი წამოიმღვარე, ცოტა მისაყოლებელიც, აბონემენტის სადღეგრძელო უნდა დავლიოთ!

მაგდანა სტუმრებს მიესალმა და პატარა ტაბლა მორთო. ნათალი ჭიქებიც ჩადგა. მეუღლეს მიუბრუნდა:

— ვერ გავიგე, კაცო, ვისი სადღეგრძელო უნდა დალიოთ?

— აბონემენტისა, დედაკაცო!

— ეგ ვინღა არის, ახალი აგრონომია?

— ჰო, ახალია, დედაკაცო! ყველაფერი ახალია!..

ბეგლარ ნოზაძე
(ქ. ჯორი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. დ. თოთიბაშვილისა



— რა დაემართა, თუ იცი?
— ზეთის მაგივრად ყავა დალია და კომპიუტერული ინფარქტი მოუვიდა!..



გაიშალა მშენებლობა
(გაუმარჯოს შენებას!)
და ახალი კლუბი გახდა
მთელი სოფლის მშვენება!
გასაცემი თანხა გასცეს, —
ეყოფოდა მთას და ბარს!..
ხელფასებზეც არას ვამბობ,
პრემიებიც ჯანდაბას!
რომ მიუსხდნენ საბანკეტო
სუფრას მრავალფეროვანს,
თავსხმა წვიმა ყაჩაღივით
თავს დაატყდა შენობას!..
თუმცა მაგრად გაილუმპნენ,
არ ახარეს ბოროტი,
არ შედრკნენ და პურისჭამა
მიიყვანეს ბოლომდე!
საქმე ასე გადაწყვიტეს:
„მოდით, მადლი უფალსო,
რაკი სოფელს ჭუჭყი ჭამს და
წყალიცა გვაქვს უფასო,
სახურავს ნუ შევეხებით,
ვინ დაუწერთ, აბა, ნულს?“
დაადგინეს: სოფლის კლუბი
გადაკეთდეს აბანოდ!
ვერ გაიგებთ, რას ფიქრობენ
ანდა გულში რა უზით,
შეთავსებაც დაამტკიცეს
საცურაო აუზის!..
მოკლედ, რალა არ იღონეს
(როცა გიჭირს, ასეა!),
ცოტა აკლდა, არ გადაწყდა
კლუბში ნავიგაცია!..

ივერ თაბაგარი
ჭიათურა, სოფელი თაბაგრები

ქორწინების სასახლეში

იუმორესკა

— არა, ბატონებო! ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს, თუ ძალაზე დადგებით, არც ჩვენ ვართ ლაჩრები! — წარმოთქვა დავითმა და „ბრაუნინგი“ საჩვენებელ თითზე დაატრიალა.

ქალები, ვინც იყვნენ ქორწინების სასახლეში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ... ყავის სასმელად, ფინჯანში ჩასახედად და საკეკლუცოდ.

— მაშ, მე მოსე არ ვყოფილვარ, თუ თავი შეგარცხვენინოთ! ხელი უნდა მააწეროს!

— არ მააწერს!

— პასლედნი პასადკაა?

— პასლედნია!

— დავით! — უცბად „გადააბლატავა“ სიტყვა მოსემ და ხმაც „ჩაუკაიფდა“, — აქეთ ვიბაზროთ!

დავითი „დილიხორში“ ჩავარდა. მოსემ ამოიღო ბინის ორდერი და „წაუიაზვა“ ტონკად დავითსა.

— ეს ორდერი ჩემთვის მინდოდა, მაგრამ ჰალალი იყოს შენზედ, ოღონდ ფაიზალი არ გლეჯო! შენი რა საქმეა, შენ ხომ არ ტუტუცდები?

დავითი „დაპლასტელინდა“.

— დამაშნი ვორდერზე ბრატი როგორ გადავაყირავო?

— ნახმარ „უიგულსაც“ მაგიგრიალებ!

— ან ნახმარ „უიგულზე“!..

— „ლადა“ იყოს!

— ვერც „ლადაზე“

— მაშ, რაღა გინდა?

— „გაზ-24“ მაინც იყოს!..

— „ვოლცვაგენზე“ რას იტყვი?

— არა, „24“!

— ეჰ, ჯანი გავარდეს, „24“ იყოს!

— მე კი თანახმა ვარ, — ხელი ხელს დაჰკრა დავითმა, — ოღონდ ორი შეხვევა „პლანი“ შენზეა!..

მურმან მერკვილიშვილი



ნახ. ი. ყეინაშვილისა

უსიტყვოდ

წყალში არგადასაყრელი აზრები

დაბზუიან „უიგულები“, ტრახტრახებენ „იკარუსები“, „კამაზები“, „მაზები“, „კრაზები“, „ზილები“ და „გაზიკები“!.. ეგზოტიკურად გამოიყურება კვამლში გახვეული შენობების ფასადები!..

ტრამვაის ვაგონს უკან მტვერბორბალა მიჰყვება და საოცარ ჰოლივუდურ ეფექტს ქმნის!.. ბავშვები ოსტატურად ახერხებენ მანქანების შუა ბურთის თამაშს აირწინალების გარეშე, რაც იმის იმედს იძლევა, რომ ჩვენ მაგარი, ამტანი და გაკაჟებული მომავალი გვეზრდება!

* * *

„დიდი თავები“ რომ ჩამოვიდნენ, „პატარა თავები“ ციბრუტივით დატრიალდნენ და ზღაპრული სუფრა გაუშალეს. სულ „იჩ-იჩ-ებით“ იყო ლაპარაკი. „დიდ თავებს“ დიდი მუცლებიც ჰქონდათ, ასევე საკმაოდ დიდი ჯიბეებიც ეკერათ. უარი არაფერზე არ უთქვამთ. თუ გავითვალისწინებთ, რომ „დიდ თავებში“ მეტი იყო ტორიჩელის სიცარიელე, „პატარა თავებმა“ აჯობეს მათ ჭკუითა და მოხერხებით და კმაყოფილები გაუშვეს!..

* * *

გაიხსნა კოოპერატივი „ინტრიგანი“, სადაც უმნიშვნელო თანხის საფასურად შეგიძლიათ შეთხზათ საჩივარი ნებისმიერ ინსტანციაში წარსადგენად, ზოგიერთების დედის სატირებლად, მოსაცდენად და სისხლის გასაშრობად!

* * *

იტყვიან ხოლმე, ყველგან ყველაფერზე რიგიაო. თუ ეს ასეა, მაშ, სადაც თოხი და ბარი იყიდება, იქ რატომ არაა რიგი?

* * *

მეც შემაქვს ჩემი წვლილი ატმოსფეროს გაჭუჭყიანების საქმეში — ვენევი დაბალფასიან, მყრალ „მტკვარს“!

* * *

კომპიუტერის მაგნიტურმა ფირმამ დამიანგარიშა, რომ ჩემი ოჯახური ეკონომიკისათვის დიპლომი არაფრის მაქნისია!

ჯონი ბაზერაშვილი

ნახ. გ. მორჩაძისა

მას მიეპარა „უმაწვილი“ და... მაინც ვერ დაიჭირა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЙ ЭКЗЕМПЛЯР

ლიმერიკები



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიმერიკი ხუთტაეპიანი ლექსია და, როგორც წესი, იუმორისტულია. იგი უძველესი ხალხური პოეზიიდან იღებს სათავეს და დიდი ტრადიცია აქვს ინგლისურ ლიტერატურაში, — თითქმის ყველა ცნობილი პოეტი მიმართავდა ამ ფორმას. ლიმერიკები იმდენად პოპულარულია, რომ დღეს მხოლოდ სპეციალისტებს თუ შეუძლიათ მათი ავტორობის დადგენა.

გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს.

* * *

ჭაში მყავდა ორი ღლავი.
მითხრეს: — გვინდა სასუნნავი,
უნდა მოგვცე ორჯერ დღეში,
თანაც ხელით არა —
თეფშით,
და, რაც გსურსო, ის გვიყავი!..

* * *

მე ვარ მახინჯი — ღმერთს ასე ნებავს,
დე, სხვებს მიაგონ ხოტბაც და ქებაც!
მე არ დავეძებ ჩემს სახეს უგვანს,
მე ხომ მას მუდამ მივყვები უკან!
იმან იკითხოს, წინ ვინც რომ ხვდება!

* * *

ერთხელ ჰკითხეს მისტერ მანტლის,
როდის მიირთმევდა სადილს?
უთხრა: — მხოლოდ რვაზე, სამზე,
ხუთზე, შვიდზე, ბოლოს — ცხრაზე,
ათზე სადილს თუ არ ჩავთვლით!

* * *

სადილად ერთი დეკანი,
ურჩი და დაუდეგარი,
მუხუდოს მარცვალს ჭამდა:
— რა ვქნა, არ მაქვსო მადა,
ჩემი ულუფა ეგ არი!

* * *

ექიმს პატარა პონიმ
უთხრა უკმეხი ტონით:
— სულ ტანის აყრას ვლამობ,
მაგრამ მაგ წამლის გამო
ვერ გავიზარდე, მგონი!



* * *

სათნო საქმეზე ამალი
ქროდა, ვით ჩიტი ფრთამალი.
უსაქმოდ მდგარმა უკნიდან
კაცს ყურზე მწარედ უკბინა
და იქვე მისცა წამალიც.

* * *

ხის ტოტზე იჯდა უქნარა,
არ მოასვენა ფუტკარმა,
უკვირდა: რაღას ბზუისო,
რაღას ბრაზობს და გულისობს,
თუკი დამკბინა ხუთგანა?!

* * *

დაბადებითვე მის ჯენევიას
სხვადასხვა ზომის ყური რგებია.
პატარა ყურში მას ინჩიბინჩი
თუ არ ესმოდა, სანაცვლოდ დიდში
ხუთჯერ მისცესო თურმე პრემია.

* * *

ლონდონში ქალი ცხოვრობდა ქუში,
თურმე ყველაფერს იხვევდა გულში.
სადღაც წავიდა დღეს ისე
სწრაფად,
რომ სიჩქარეში გაეხა კაბა
და... გაოცდებით: დაბრუნდა გუშინ!

* * *

ლიზპეტი თავის სიწმინდით ქუხდა,
ნიადაგ სუფთა ტან-ფეხზე წუხდა
და იატაკზე ტახტიდან დილით
თავით ხტებოდა, ჯერ კიდევ
თბილი,
ოლონდ ფეხები ჰქონოდა სუფთა.

* * *

გრძელწვერა კაცი ჰყვებოდა ნელა:
— თუმც ნელა ვყვები, მე მაინც
ვლელავ,
ქათამი, ძერა, ჭოტი და ქორი,
ორი შაშვი და ტროლაც ორი —
ბუდეს ჩემს წვერში იკეთებს ყველა.

* * *

ერთ მოხუცს ჰქონდა მტკაველი ცხვირი,
მან არ იცოდა, რა იყო ძილი,
რადგან ფარანი ცხვირზე მანამდის
ეკიდა, სანამ თევზებს კალათით
არ მიიტანდა შინ სისხამ დილით.

* * *

ლიდსის დადგმა რომ ნახა გუდმენმა,
იქვე დაასკვნა გადაუდებლად:
— იმით გავიგებთ პიესა ეგო
რომელს ეკუთვნის — შექსპირს
თუ ბეკონს,
საფლავში დღეს ვინ გადაბრუნდება!

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი ნიშნიანიძემ

ილუსტრაციები **ჯემალ ლოლუასი**

ჩილელმა ხალხმა უარყო ხელისუფლების სათავეში პინოჩეტის შემდგომი დარჩენა. პინოჩეტმა 3,5 მილიონი დოლარი დახარჯა საერთო-სახალხო კენჭისყრა-რეფერენდუმის ჩატარებისათვის. რაც მისი სრული კრახით დამთავრდა.

7-88

გაზეთებიდან

ნახ. გ. ლომიძისა

ვერ დაიმორჩილეს!

88-727

საბჭოთა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“
№ 22 (1776). ნოემბერი.
გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლეიაძე

სარედაქციო კოლეგია:

ივთანდილ ადეიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), **ჭაბუა ამირეჯიბი, ნომადი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია** (მხატვარ-რედაქტორი), **ალექსანდრე სამსონია, ბეჟან ხიხარულიძე** (მთავარი რედაქტორის მოადგილე), **ჯანხუდ ჩარკვიანი, თამაზ წიკვნიკაძე, ნაფი ჯუსოითი.**

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი დუნდუა

გადაეცა ასაწყობად 21. 10. 88 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22. 11. 88 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1,9. საქართველოს კპ ცკ-ს გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 2686 უე 04806 ტირაჟი 136.000 ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 380008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, გახუოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.
ინდექსი 76137

727
30.XI 1988